



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №21

2015 წლის 14 დეკემბერი

ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი
ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №37 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1.

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №37 დადგენილებაში (სსმ 01.01.2015 წ.) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ს.ოქროპირიძე

თავი I

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანადაართული რედაქციით

(ლარი)

| დასახელება | 2013 წლის ფაქტი | | | 2014 წლის ფაქტი | | | 2015 წლის გეგმა | | |
|---------------------------------|-----------------|----------------------|---|-----------------|----------------------|---|-----------------|----------------------|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |
| შემოსავლები | 24 918 286 | 23 361 770 | 1 556 516 | 31 335 205 | 29 965 235 | 1 369 970 | 27 929 979 | 26 105 715 | 1 824 264 |
| უცხო სახელმწიფო | 1 199 956 | 1 199 956 | - | 1 354 750 | 1 354 750 | - | 1 853 408 | 1 853 408 | - |
| გრანტები | 21 897 784 | 20 341 268 | 1 556 516 | 27 455 694 | 26 085 724 | 1 369 970 | 24 022 964 | 22 198 700 | 1 824 264 |
| მათ შორის შემოსავლები | 1 820 546 | 1 820 546 | - | 2 524 760 | 2 524 760 | - | 2 053 607 | 2 053 607 | - |
| ზარცები | 12 114 222 | 11 931 371 | 182 851 | 15 888 847 | 15 888 847 | - | 14 154 449 | 13 729 400 | 425 049 |
| მომხმარებლის ანაზღაურება | 2520472 | 2 520 472 | - | 2 588 536 | 2 588 536 | - | 2 211 523 | 2 211 523 | - |
| საქონლო და მომსახურება | 2709711 | 2 709 711 | - | 2 644 758 | 2 644 758 | - | 2 833 584 | 2 832 869 | 715 |
| პროცენტი | 447389 | 447 389 | - | 418 776 | 418 776 | - | 418 132 | 418 132 | - |
| სუბსიდიები | 4240664 | 4 185 813 | 54851 | 5 599 666 | 5 599 666 | - | 6 638 168 | 6 638 168 | - |
| გრანტები | 66 532 | 66 532 | - | 37 640 | 37 640 | - | 587 050 | 587 050 | - |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1752839 | 1 624 839 | 128000 | 3 296 353 | 3 296 353 | - | 605 856 | 605 856 | - |
| მათ შორის ზარცები | 376615 | 376 615 | - | 1 303 119 | 1 303 119 | - | 860 136 | 435 802 | 424 334 |
| საინვესტიო საღებო | 12 804 064 | 11 430 399 | 1 373 665 | 15 446 359 | 14 076 389 | 1 369 970 | 13 775 530 | 12 376 315 | 1 399 215 |
| არაფინანსური აქტივების ფელილება | 5 929 032 | 4 427 367 | 1 501 665 | 12 798 098 | 11 428 128 | 1 369 970 | 21 632 511 | 20 233 296 | 1 399 215 |
| ზრდა | 6 023 256 | 4 521 591 | 1 501 665 | 12 833 566 | 11 463 596 | 1 369 970 | 21 733 911 | 20 334 696 | 1 399 215 |
| კლება | 94 224 | 94 224 | - | 35 468 | 35 468 | - | 101 400 | 101 400 | - |
| მილიანი საღებო | 6 875 032 | 7 003 032 | -128 000 | 2 648 260 | 2 648 260 | - | -7 856 981 | -7 856 981 | - |
| ფინანსური აქტივების ფელილება | 6 601 028 | 6 729 028 | -128 000 | 2 272 433 | 2 272 433 | - | -8 488 929 | -8 488 929 | - |
| ზრდა | 6 729 028 | 6 729 028 | - | 2 272 433 | 2 272 433 | - | - | - | - |
| ვალუტა, დეპოზიტები | 6 729 028 | 6 729 028 | - | 2 272 433 | 2 272 433 | - | - | - | - |
| კლება | 128 000 | - | 128 000 | - | - | - | 8 488 929 | 8 488 929 | - |
| ვალუტა, დეპოზიტები | 128 000 | - | 128 000 | - | - | - | 8 488 929 | 8 488 929 | - |
| ვალდებულებების ფელილება | -274 004 | -274 004 | - | -375 826 | -375 826 | - | -631 948 | -631 948 | - |
| ზრდა | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| კლება | 274 004 | 274 004 | - | 375 826 | 375 826 | - | 631 948 | 631 948 | - |
| | - | - | - | - | - | - | - | - | - |

მუხლი 2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება:

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

| | 2013 წლის ფაქტი | | | 2014 წლის ფაქტი | | | 2015 წლის გეგმა | | |
|--|-----------------|----------------------|---|-----------------|----------------------|---|-----------------|----------------------|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |
| დასახელება | | | | | | | | | |
| შემოსულობები | 25012510 | 23455994 | 1556516 | 31370673 | 30000703 | 1369970 | 28031379 | 26207115 | 1824264 |
| შემოსულობები | 24 918 286 | 23 361 770 | 1 556 516 | 31 335 205 | 29 965 235 | 1 369 970 | 27 929 979 | 26 105 715 | 1 824 264 |
| არაფინანსური აქტივების ღირებულება | 94 224 | 94 224 | - | 35 468 | 35 468 | - | 101 400 | 101 400 | - |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| პროვინციულების ზრდა | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| გადასახდელები | 18411482 | 16726966 | 1684516 | 29098240 | 27 728 270 | 1369970 | 36520308 | 34 696 044 | 1 824 264 |
| გადასახდელები | 12 114 222 | 11 931 371 | 182 851 | 15 888 847 | 15 888 847 | - | 14 154 449 | 13 729 400 | 425 049 |
| არაფინანსური აქტივების ღირებულება | 6 023 256 | 4 521 591 | 1 501 665 | 12 833 566 | 11 463 596 | 1 369 970 | 21 733 911 | 20 334 696 | 1 399 215 |
| ფინანსური აქტივების ღირებულება (ნაშთის გამოკლებით) | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| პროვინციულების კლება | 274 004 | 274 004 | - | 375 826 | 375 826 | - | 631 948 | 631 948 | - |
| ნაშთის ცვლილება | 6601028 | 6729028 | -128000 | 2272433 | 2272433 | - | -8488929 | -8488929 | - |

მუხლი 3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 27929979 ლარის ოდენობით.

| | 2013 წლის ფაქტი | | | 2014 წლის ფაქტი | | | 2015 წლის გეგმა | | |
|-----------------------------------|-----------------|----------------------|---|-----------------|----------------------|---|-----------------|----------------------|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |
| დასახელება | | | | | | | | | |
| შემოსულობები | 24918286 | 23361770 | 1556516 | 31335205 | 29965235 | 1 369 970 | 27929979 | 26105715 | 1 824 264 |
| არაფინანსური აქტივების ღირებულება | 1 199 956 | 1 199 956 | - | 1 354 750 | 1 354 750 | - | 1 853 408 | 1 853 408 | - |
| ფინანსური აქტივების ღირებულება | 21 897 784 | 20 341 268 | 1 556 516 | 27 455 694 | 26 085 724 | 1 369 970 | 24 022 964 | 22 198 700 | 1 824 264 |
| პროვინციულების ღირებულება | 1 820 546 | 1 820 546 | - | 2 524 760 | 2 524 760 | - | 2 053 607 | 2 053 607 | - |

ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 1853408 ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა |
|---|------------------|------------------|------------------|
| გადასახადები | 1 199 956 | 1 354 750 | 1 853 408 |
| ქონების გადასახადი | 1 199 956 | 1 354 750 | 1 853 408 |
| სატრეველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 692 613 | 627 324 | 1 010 508 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | | | 453 400 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 71 679 | 63 822 | 65 500 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი | 83 721 | 48 718 | 40 000 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი | 351 943 | 614 886 | 284 000 |

ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები
 განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 24022964 ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2013 წლის ფაქტი | | | 2014 წლის ფაქტი | | | 2015 წლის გეგმა | | |
|--|-----------------|----------------------|---|-----------------|----------------------|---|-------------------|----------------------|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |
| გრანტები | 21897784 | 20341268 | 1556516 | 27455694 | 26085724 | 1369970 | 24 022 964 | 22198700 | 1824264 |
| სხვა დონის სახელმწიფო პროექტებიდან მიღებული გრანტები | 21897784 | 20341268 | 1556516 | 27455694 | 26085724 | 1 369 970 | 24 022 964 | 22 198 700 | 1 824 264 |
| სატრეველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი უთანაბრებითი ტრანსფერი | 5 784 880 | 5 784 880 | | 7 184 600 | 7 184 600 | | 7 198 700 | 7 198 700 | |
| სპეციალური ტრანსფერი | 16112904 | 14556388 | 1556516 | 20271094 | 18901124 | 1369970 | 1 824 264 | - | 1 824 264 |
| მ.მ. სატრეველოს რეგიონებში განსაზღვრული პროექტების ფონდი | 208 549 | | 208 549 | 1 369 970 | | 1 369 970 | 1 824 264 | | 1 824 264 |
| მ.მ. სხვა სპეციალური ტრანსფერი | 1 347 967 | | 1 347 967 | - | | | - | | |
| მ.მ. აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი | 14 556 388 | 14 556 388 | | 18 901 124 | 18 901 124 | | - | | |
| ამიტალური ტრანსფერი | | | | - | | | 15 000 000 | 15 000 000 | |
| ჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ამიტალური ტრანსფერი | | | | - | | | 15 000 000 | 15 000 000 | |

გ. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
 განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2053607. ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2013 წლის ფაქტი | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა |
|--|-----------------|-----------------|-----------------|
| სხვა შემოსავლები | 1 820 546 | 2 524 760 | 2 053 607 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 481 928 | 1 035 661 | 824 007 |
| პროცენტები | 279 178 | 783 693 | 624 007 |
| დემოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები | 279 178 | 783 693 | 624 007 |
| რენტა | 202 750 | 251 968 | 200 000 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 28 700 | 87 711 | 50 000 |
| შემოსავალი მიწის ოდრიდან და მართვაში ლუწურუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 174 050 | 164 257 | 150 000 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 308 404 | 384 280 | 347 300 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდლები | 270 536 | 352 578 | 317 300 |
| საწვართუო მოსაკრებელი | 55 478 | 46 984 | 35 000 |
| მოსაკრებელი მშენებლობის (ვარდა განსაკუთრებული მშენებლობის რადიაციული ან პირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე | 55 478 | 46 984 | 35 000 |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | 170 | 25 | - |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | | 211 | |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 3 374 | 66 402 | 32 300 |
| მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 211 514 | 238 956 | 250 000 |
| არასაბაზრო წესით ფაქიდული საქონელი და მომსახურება | 37 868 | 31 702 | 30 000 |
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან | 37 868 | 31 702 | 30 000 |
| საწვევები (ჯარიმები და საურავები) | 850 796 | 985 807 | 750 300 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 179 418 | 119 012 | 132 000 |
| შორის შემოსულობა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემიდან | 179 418 | 119 012 | 132 000 |

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 14154449. ლარის ოდენობით თანადართული რედაქციით.

| დასახელება | 2013 წლის ფაქტი | | | 2014 წლის ფაქტი | | | 2015 წლის გეგმა | | |
|-------------------------|-----------------|----------------------|---|-----------------|----------------------|---|-----------------|----------------------|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |
| ხარჯები | 12 114 222 | 11 931 371 | 182 851 | 15 888 848 | 15 888 848 | 0 | 14154449 | 13729400 | 425 049 |
| შრომის ანაზღაურება | 2 520 472 | 2 520 472 | - | 2 588 536 | 2 588 536 | - | 2 211 523 | 2 211 523 | - |
| საქონელი და მომსახურება | 2 709 711 | 2 709 711 | - | 2 644 758 | 2 644 758 | - | 2 833 584 | 2 832 869 | 715 |
| პროცენტი | 447 389 | 447 389 | - | 418 776 | 418 776 | - | 418 132 | 418 132 | - |
| სუბსიდიები | 4 240 664 | 4 185 813 | 54 851 | 5 599 666 | 5 599 666 | - | 6 638 168 | 6 638 168 | - |
| კონტაქტი | 66 532 | 66 532 | - | 37 640 | 37 640 | - | 587 050 | 587 050 | - |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1 752 839 | 1 624 839 | 128 000 | 3 296 353 | 3 296 353 | - | 605 856 | 605 856 | - |
| შემა ხარჯი | 376 615 | 376 615 | - | 1 303 119 | 1 303 119 | - | 860 136,00 | 435 802,00 | 424334 |

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 21733911. ლარის ოდენობით მათ შორის.

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 21733911 ლარის ოდენობით, თანადართული რედაქციით;

| დასახელება | 2013 წლის ფაქტი | | | 2014 წლის ფაქტი | | | 2015 წლის გეგმა | | |
|---|-----------------|----------------------|---|-----------------|----------------------|---|-----------------|----------------------|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |
| წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 35 613 | 35 613 | - | 16 305 | 16 305 | - | 16 293 | 16 293 | - |
| თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 18 780 | 18 780 | - | 199 950 | 199 950 | - | 1 353 | 1 353 | - |
| ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 4 917 295 | 3 415 630 | 1 501 665 | 9 300 244 | 7 930 274 | 1 369 970 | 17 118 980 | 15 719 765 | 1 399 215 |
| განათლება | 568 322 | 568 322 | - | 1 114 947 | 1 114 947 | - | 3 248 467 | 3 248 467 | - |
| კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ზღვარწესობა და სპორტი | 483 246 | 483 246 | - | 2 197 247 | 2 197 247 | - | 1 345 318 | 1 345 318 | - |
| მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | - | - | - | 4 873,00 | 4 873,00 | - | 3 500,00 | 3 500,00 | - |
| ჯამი | 6 023 256 | 4 521 591 | 1 501 665 | 12 833 566 | 11 463 596 | 1 369 970 | 21 733 911 | 20 334 696 | 1 399 215 |

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 101400 ლარის ოდენობით,

| დასახელება | 2013 წლის ფაქტი | | | 2014 წლის ფაქტი | | | 2015 წლის გეგმა | | |
|------------------------------|-----------------|----------------------|---|-----------------|----------------------|---|-----------------|----------------------|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |
| არაფინანსური აქტივების კლება | 94 224 | 94 224 | - | 35 468 | 35 468 | - | 101 400 | 101 400 | - |
| ძირითადი აქტივები | 94 224 | 94 224 | - | 35 468 | 35 468 | - | 101 400 | 101 400 | - |

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 35888360 ფუნქციონალურ ჭრილში, თანადართული რედაქციით."

(ლარი)

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2013 წლის ფაქტი | | | 2014 წლის ფაქტი | | | 2015 წლის გეგმა | | |
|--------------------|---|-----------------|----------------------|---|-----------------|----------------------|---|-----------------|----------------------|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |
| 701 | საერთო დანიშნულების სსახელმწიფო მომსახურება | 3 039 232 | 3 039 232 | 0 | 2 681 808 | 2 681 808 | 0 | 2 737 879 | 2 737 879 | 0 |
| 7011 | აღმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2 167 000 | 2 167 000 | 0 | 2 212 946 | 2 212 946 | 0 | 2 303 827 | 2 303 827 | 0 |
| 70111 | აღმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2 028 138 | 2 028 138 | 0 | 2 076 841 | 2 076 841 | 0 | 1 972 103 | 1 972 103 | 0 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 138 862 | 138 862 | 0 | 136 105 | 136 105 | 0 | 331 724 | 331 724 | 0 |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 803 832 | 803 832 | 0 | 418 776 | 418 776 | 0 | 434 052 | 434 052 | 0 |
| 7017 | საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის | 66 532 | 66 532 | 0 | 37 640 | 37 640 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 1 868 | 1 868 | 0 | 12 446 | 12 446 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 702 | თვადაცვა | 121 505 | 121 505 | 0 | 123 572 | 123 572 | 0 | 115 297 | 115 297 | 0 |
| 7021 | შეარაღებული ძალები | 121 505 | 121 505 | 0 | 123 572 | 123 572 | 0 | 115 297 | 115 297 | 0 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 567 619 | 567 619 | 0 | 775 009 | 775 009 | 0 | 651 545 | 651 545 | 0 |

| | | | | | | | | | | |
|------|--|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|-----------|
| 7050 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 567 619 | 567 619 | 0 | 775 009 | 775 009 | 0 | 651 545 | 651 545 | 0 |
| 7051 | ეკონომიკური საქმიანობა | 2 737 063 | 2 455 365 | 281 698 | 6 087 430 | 6 087 430 | 0 | 6 536 555 | 6 536 555 | 0 |
| 7052 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 1 105 296 | 977 296 | 128 000 | 2 533 356 | 2 533 356 | 0 | 8 406 | 8 406 | 0 |
| 7053 | სოფლის მეურნეობა | 1 105 296 | 977 296 | 128 000 | 2 533 356 | 2 533 356 | 0 | 8 406 | 8 406 | 0 |
| 7054 | ტრანსპორტი | 1 488 029 | 1 334 331 | 153 698 | 3 399 405 | 3 399 405 | 0 | 6 319 586 | 6 319 586 | 0 |
| 7055 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 1 488 029 | 1 334 331 | 153 698 | 3 399 405 | 3 399 405 | 0 | 6 319 586 | 6 319 586 | 0 |
| 7056 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში | 143 738 | 143 738 | 0 | 154 669 | 154 669 | 0 | 208 563 | 208 563 | 0 |
| 7057 | გარემოს დაცვა | 1 466 689 | 1 466 689 | 0 | 2 832 769 | 2 832 769 | 0 | 5 843 114 | 5 843 114 | 0 |
| 7058 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 1 299 110 | 1 299 110 | 0 | 1 344 677 | 1 344 677 | 0 | 1 439 167 | 1 439 167 | 0 |
| 7059 | ჩამდინარე წყლების მართვა | 167 579 | 167 579 | 0 | 1 488 092 | 1 488 092 | 0 | 4 403 947 | 4 403 947 | 0 |
| 7060 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 4 820 604 | 3 472 637 | 1 347 967 | 7 351 799 | 5 981 829 | 1 369 970 | 8 395 367 | 6 995 437 | 1 399 930 |
| 7061 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 1 052 515 | 1 052 515 | 0 | 930 536 | 930 536 | 0 | 1 284 294 | 1 284 294 | 0 |
| 7062 | წყალმომარაგება | 1 345 124 | 1 345 124 | 0 | 3 815 647 | 3 815 647 | 0 | 4 170 508 | 4 170 508 | 0 |
| 7063 | გარე განათება | 538 530 | 538 530 | 0 | 625 730 | 625 730 | 0 | 756 670 | 756 670 | 0 |
| 7064 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 1 884 435 | 536 468 | 1 347 967 | 1 979 886 | 609 916 | 1 369 970 | 2 183 895 | 783 965 | 1 399 930 |
| 7065 | ჯანმრთელობის დაცვა | 167 139 | 167 139 | 0 | 157 686 | 157 686 | 0 | 249 513 | 249 513 | 0 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | 167 139 | 167 139 | 0 | 157 686 | 157 686 | 0 | 249 513 | 249 513 | 0 |
| 7067 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 2 261 467 | 2 261 467 | 0 | 4 679 386 | 4 679 386 | 0 | 4 465 677 | 4 475 677 | 0 |
| 7068 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 1 335 401 | 1 335 401 | 0 | 1 996 046 | 1 996 046 | 0 | 3 072 380 | 3 072 380 | 0 |
| 7069 | მომსახურება კულტურის სფეროში | 833 869 | 833 869 | 0 | 2 575 033 | 2 575 033 | 0 | 1 265 336 | 1 265 336 | 0 |
| 7070 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 11 669 | 11 669 | 0 | 14 374 | 14 374 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 7071 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | 80 528 | 80 528 | 0 | 93 933 | 93 933 | 0 | 127 961 | 127 961 | 0 |
| 7072 | განათლება | 2 316 177 | 2 261 326 | 54 851 | 3 347 627 | 3 347 627 | 0 | 6 000 082 | 6 000 082 | 0 |
| 7073 | სკოლამდელი აღზრდა | 1 081 317 | 1 026 466 | 54 851 | 1 570 368 | 1 570 368 | 0 | 2 034 338 | 2 034 338 | 0 |
| 7074 | ზოგადი განათლება | 3 403 | 3 403 | 0 | 4 039 | 4 039 | 0 | 4 200 | 4 200 | 0 |
| 7075 | საშუალო ზოგადი განათლება | 3 403 | 3 403 | 0 | 4 039 | 4 039 | 0 | 4 200 | 4 200 | 0 |
| 7076 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 1 231 457 | 1 231 457 | 0 | 1 773 220 | 1 773 220 | 0 | 3 961 544 | 3 961 544 | 0 |

| | | | | | | | | | | |
|------|--|------------|------------|-----------|------------|------------|-----------|------------|------------|-----------|
| 710 | სოციალური დაცვა | 639 983 | 639 983 | 0 | 685 328 | 416 641 | 0 | 893 331 | 468 997 | 424 334 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას | 142 775 | 142 775 | 0 | 170 543 | 170 543 | 0 | 183 053 | 183 053 | 0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 497 208 | 497 208 | 0 | 514 785 | 246 098 | 0 | 710 278 | 285 944 | 424 334 |
| | მთლიანი ხარჯები | 18 137 478 | 16 452 962 | 1 684 516 | 28 722 414 | 27 083 757 | 1 369 970 | 35 888 360 | 34 064 096 | 1 824 264 |

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო .

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -7,856,981 ლარის ოდენობით;

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება-8,488,929 ლარის ოდენობით.

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 631,948 ლარის ოდენობით.

მუხლი10. ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 170 000 ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. სპორტული, კულტურული ღონისძიებები

სპორტულ, კულტურულ, პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

1.1. სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური (პროგრამული კოდი 02 01)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირებისა და გაწვევებთან დაკავშირებული ხარჯების უზრუნველყოფა.

1.2. სახანძრო -სამაშველო სამსახური (პროგრამული კოდი 02 02)

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პროგრამა დააფინანსებს სამსახურის ხარჯებს 2015 წლის 10 იანვრამდე.

1.3. სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო (პროგრამული კოდი 02 03)

ასიგნებები გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობების შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის დაკისრებული ფუნქციების შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქის ქუჩების მოწყობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვა, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებულ რეაბილიტირებულ ქუჩებში გადაადგილების უსაფრთხოებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირება, მგზავრთა მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილების უზრუნველყოფა, უზრუნველყოფილი იქნება გზებზე უსაფრთხო გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს

მუნიციპალიტეტში ჩამოსული ტურისტებისათვის მიმზიდველი და კომფორტული გარემოს შექმნას და ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას.

2.1.1. ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქობულეთში შიდა საქალაქო ქუჩებისა და ტროტუარების რეაბილიტაციას იმ უბნებში სადაც ძირითადად მოწესრიგებული იქნება მიწისქვეშა კომინიკაციები, კერძოდ ქალაქ ქობულეთში შოთა რუსთაველის ქუჩის მონაკვეთის (რკინიგზის სადგურიდან თავისუფლების ქუჩის გადაკვეთამდე) ტროტუარების მოწყობას და რუსთაველის ქუჩა N325-დან N341-მდე ქუჩაზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობა, ქალაქ ქობულეთში ჭავჭავაძის უბნის (ჭავჭავაძის ქუჩის, ჭავჭავაძის პირველი შესახვევის, ჭავჭავაძის პირველი და მეორე ჩიხის საგზაო ინფრასტრუქტურა) კეთილმოწყობას, ქალაქ ქობულეთში ჯავახიშვილის უბნის (ჯავახიშვილის ქუჩის, ჯავახიშვილის პირველი, მეორე, მესამე შესახვევის და რუსთაველის პირველი შესახვევის საგზაო ინფრასტრუქტურა) კეთილმოწყობას, ქალაქ ქობულეთში გურამიშვილის ქუჩის (გურამიშვილის ქუჩის, რუსთაველის შესასვლელის კომახიდის ქუჩის (კომახიდის ქუჩის, კომახიდის ქუჩისა და გოგებაშვილის ქუჩის შესასვლელის რუსთაველის ქუჩამდე საგზაო ინფრასტრუქტურა) კეთილმოწყობას, ქალაქ ქობულეთში ლესელიძის ქუჩის (ლესელიძის ქუჩისა და ლესელიძის შესახვევის საგზაო ინფრასტრუქტურა) კეთილმოწყობას და ქალაქ ქობულეთში არსებული ასფალტის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ქალაქ ქობულეთში ზღვის სანაპიროზე („თოლიას“ მიმდებარედ, 26 მაისის ქუჩის მოპირდაპირედ, საავადმყოფოს უბანში, თამარ მეფის სანაპიროზე სამაშველო სადგურის მიმდებარედ) მოეწყობა გადასასვლელები, ქალაქ ქობულეთში საავადმყოფოს უბანში (გორგილამის ქუჩის მიმდებარედ) ზღვის სანაპიროს არსებულ ტროტუარებზე მოეწყობა მოაჯირები, ქალაქ ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის განხორციელდება შემაფერხებელის და ზღვის სანაპიროზე შესასვლელის ჩამკეტების მოწყობის სამუშაოები.

2.1.2. ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს ჯებირისა, სანაპიროს სავალი ნაწილის რეაბილიტაცია-მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქობულეთში სტიქიის შედეგად დაზიანებულ მონაკვეთებზე ნაპირდამცავი ღონისძიებების, კერძოდ ზღვის სანაპირო ზოლში ჩამონგრეული ნაპირდამცავი საფეხურებიანი კედლის აღდგენით სამუშაოებს, ამავე დროს პროგრამით გათვალისწინებულია ზღვაზე ჩასასვლელ კიბეებზე სახელურების მოწყობა და თამარის სანაპიროზე ბორდიურების შეღებვის სამუშაოები.

2.1.3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსათავსებელი საგზაო ნიშნების, საგზაო შუქნიშნების, მოწყობა- მონტაჟი, გზებისა და ქალაქის მანიშნებლების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს 2014 წლის გარდამავალ ღონისძიებებს, კერძოდ ქალაქ ქობულეთში საგზაო ნიშნების განთავსების და ციმციმების მოწყობის სამუშაოებს. პროგრამით აგრეთვე განხორციელდება ბათუმისა და ჩოლოქის მხრიდან ქობულეთის შემოსასვლელში არსებული ქალაქის მანიშნებლების რეაბილიტაცია.

2.1.4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელელების რეაბილიტაცია, ახალი მოსაცდელელების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქობულეთში დ. აღმაშენებლის ქუჩაზე (სპორტული სკოლის მიმდებარედ), ჩოლოქის დასახლებაში და სოფელ აჭყვისთავში ახალი მოსაცდელეების მოწყობას, დაგეგმილია დაბა ჩაქვში სარეაბილიტაციო კლინიკის მოპირდაპირედ ახალი აგურის მოსაცდელის მშენებლობა.

2.1.5. მუნიციპალიტეტში გზების სამუშაოები (მათ შორის ქვათაცვენის და ნაპირსამაგრი სამუშაოები და მისასვლელი გზები) (პროგრამული კოდი 03 01 07)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოფელ ლედვას N1 საჯარო სკოლასთან მისასვლელი გზის მოწესრიგების სამუშაოებს. გათვალისწინებულია ქალაქ ქობულეთში მდინარე კინტრიშისა და მდინარე დეხვას კალაპოტების გასწორხაზოვნების, აგრეთვე ზღვის სანაპირო ზოლში წარმოქმნილი ორმოების ამოვსებითი სახის სამუშაოებს. ქვეპროგრამით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის N141 განკარგულების საფუძველზე განხორციელდება დაბა ჩაქვში აბაშიძის ქუჩა N10 არსებული მდინარის კალაპოტის შეცვლის გასწორხაზოვნების სამუშაოები.

2.1.6. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურეობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 01 08)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (თემებში, სოფლებსა და ქალაქის ტერიტორიაზე) და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მგზავრთა გადაადგილების უზრუნველსაყოფად მუნიციპალური ტრანსპორტით, კერძოდ ავტობუსებით მომსახურების ხარჯების თანადაფინანსებას. აღნიშნული ქვეპროგრამა განხორციელდება შპს “ქობულეთის ტრანსრეგულირების“ მიერ.

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვა, ეზოების მოწყობა, მუნიციპალიტეტის გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიების დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა. წყალმომარაგების უზრუნველყოფისა და მოსახლეობაზე სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება წყალსადენის სათავე ნაგებობების მშენებლობა და რეაბილიტაცია, წყლის გაუსნებელოფა, მოწესრიგდება სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემები.

2.2.1. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების გადახურვა/რეაბილიტაცია, კერძოდ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

სოფლებში: სოფელ ხუცუბნის ჩაის ფაბრიკის (თეთროსნის დასახლება) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, კვირიკეში N5, N17, N18, N20, მუხაესტატეში (ყოფილი ჩაის ფაბრიკის და მუხაესტატეს მეურნეობის), ციხისძირის N4, N4ა, N10, N16, N22, N51, N52, ბობოყვათის N4 სახლის, აგრეთვე დაბა ოჩხამური-ცეცხლაურის (მათ შორის ოჩხამური ყაზბეგის N5, წერეთლის N14, აღმაშენებლის N18, N28, N45, N47, თამარ მეფის N1დ, N12, N16, აბუსელიძის N2, N4, ცეცხლაური N2, N4, N14, ჯიხანჯური N14, N12, N33, ჯიხანჯურში რუსთაველის N6, N30, N31, ოჩხამურში თამარ მეფის N8, N14, N18, დაბა ჩაქეში მდებარე აღმაშენებლის N2, აბაშიძის N14, თამარ მეფის N3, თბილისის N7, N9, ლესელიძის N6 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, ქალაქ ქობულეთში აბაშიძის N7, თავისუფლების N75, ფიროსმანის N4 და პოპოვის N28 ში მდებარე და ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N162 დ-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. პროგრამით განხორციელდება ქ. ქობულეთი რუსთაველის ქუჩა N140-ვ-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლზე დაზიანებული კედლის აღდგენა, დააფინანსდება ქალაქ ქობულეთში ჭავჭავაძის ქუჩა N1-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს მოწყობის სამუშაოები. პროგრამა დაასრულებს 2014 წელში დაწყებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის გარდამავალ სამუშაოებსაც.

2.2.2. გარე განათება (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, გარე განათების ქსელის განვითარებისა და არსებულის სრულყოფისათვის, ენერჯის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დანერგვა და განათების თანამედროვე წყაროების, ეფექტური ოპტიკური სისტემების, კონსტრუქციებისა და მასალების გამოყენების დანერგვა. პროგრამით შესაძლებელი იქნება ქ. ქობულეთში აღმაშენებლის გამზირზე ეკონომიური გარე განათების სისტემის მოწყობა. პროგრამა ითვალისწინებს საახალწლო სადღესასწაულო დღეებში ქალაქის განათებას სხვადასხვა ილუმინაციებით. წლის განმავლობაში ღამით ქალაქში უსაფრთხოებისთვის ხელისშეწყობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის 4000 ზე მეტი წერტის ექსპლოატაცია, მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურება. რაც ხელს შეუწყობს რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ქალაქის იერსახის შენარჩუნებას.

2.2.3. დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ერთერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, სისუფთავის და წესრიგის დაცვა, მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა. ნაგავსაყრელების მოვლა-დამუშავება.

2.2.4. გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში 2015 წელს გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარის და მათ შორის მარადმწვანე დეკორატიული მცენარეების შექმნა და

მოვლა-პატრონობის სამუშაოები, რასაც ახორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის გამწვანება, პროგრამა დააფინანსებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს.

2.2.5. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მოსახლეობისათვის და არსებული ორგანიზაციებისათვის ეკოლოგიურად სუფთა, სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა. შპს „ქობულეთის წყალი“ უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის სასმელი წყლის დროულ და ხარისხიანად მიწოდებას, დაფინანსება ხდება სასმელი წყლის მიწოდებაზე დახარჯული ელექტრო ენერჯის ანაზღაურების მიზნით, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფელ სამების წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სოფელ ხუცუბნის წყლის სათავე ნაგებობის რეზერვუარისა და ქსელის რეაბილიტაცია, სოფელი ჭახათის ე.წ. "კურჩხულას" წყალსადენის სათავე ნაგებობის მოწყობა და სოფლებში მუხაესტატესა და წყავროკაში ახალი ჭაბურღილების მოწყობა, სოფელ კვირიკეს წყალსადენის სათავე ნაგებობის, რეზერვუარების და ქსელის რეაბილიტაცია, ქალაქ ქობულეთში წყალსადენის სათავე ნაგებობაზე დამატებითი ჭაბურღილების მოწყობა. გარდა ამისა პროგრამით განხორციელდება დაბა ოჩხამურის წყლის სათავე ნაგებობის რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები და შეიძინება ჯიხანჯურის წყალსაქარისათვის ტუმბოები, აგრეთვე დაბა ჩაქვში სოფელ ბუკნარის წყალსადენის სათავეზე მოეწყობა ლითონის წყალშემკრების. გათვალისწინებულია დაბა ჩაქვში(იუსტიციის მშენებარე სახლის მიმდებარედ) არსებული წყლის მაგისტრალური ხაზის გადატანა სხვა მიმართულებით.

პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის სასმელი წყლის მიწოდებაში ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვას, წყლის ხარისხის გაუმჯობესებას და საექსპლოატაციო დანახარჯების შემცირებას ამ მიზნით მოხდება ქალაქ ქობულეთის წყლისა და დაბა ოჩხამურის წყლის გაუსწებლყოფა.

ქვეპროგრამით გრძელდება ა(ა)იპ ქობულეთის სოფლის წყალის სუბსიდირება, რომელიც მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს სოფლების წყლის სათავე ნაგებობებისა და შიდა გაყვანილობის მიმდინარე რემონტის სამუშაოების განხორციელებას, ამორტიზირებული წყლის მილების პერიოდულ შეცვლას, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია სოფლების ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასთან და მოსახლეობის ცხოვრების კრიტერიუმების ცვლილებასთან. პროგრამით დასრულდება 2014 წელში დაწყებული წყლის სისტემის რეაბილიტაციის გარდამავალი სამუშაოები.

2.2.6. სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა- რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ ქობულეთში ნინოშვილის ქუჩის სასმელი წყლის სისტემების და ჯავახიშვილის უბნის (ჯავახიშვილის პირველი და მეორე შესახვევი, რუსთაველის პირველი შესახვევი) წყლისა და კანალიზაციის რეაბილიტაცია, ქალაქ ქობულეთში აღმაშენებლის ქუჩაზე "ნიკორას" მიმდებარედ არსებული სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები, გელაურისა და კარიერის უბნის საკანალიზაციო სისტემის და მისი ელემენტების სამშენებლო სამუშაოების I ეტაპი, გელაურის დასახლების (არხის მარჯვენა მხარე, კაიკაციშვილის, პუშკინის, აკ.

წრეთლის, თხილაიშვილის, ვაჟა ფშაველას, კინტრიშის, ნ. ბარათაშვილის ქუჩებისა და ჰ. აბაშიძის და კაიკაციშვილის შესახვევების) კანალიზაციის სისტემისა და სატუმბო სადგურის მოწყობა, განხორციელებულია ქალაქ ქობულეთში (სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღას“ და N4 საბავშვო ბაღს შორის, N1 საჯარო სკოლის, N2 საჯარო სკოლის და აღმაშენებლის ქუჩაზე „პირადნის“ მიმდებარედ) სანიაღვრე არხების მოწყობა, ქ. ქობულეთში ჭავჭავაძის, ჭავჭავაძის პირველი შესახვევის, მე-2 შესახვევის, ლესელიძის შესახვევის, ნინოშვილის და გურამიშვილის ქუჩების კანალიზაციის სამუშაოები. გათვალისწინებულია სოფელ ხუცუბანში მშენებარე საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხის გადატანა მიმდებარედ და სისტემის მოწყობა. გათვალისწინებულია დაბა ჩაქვში მარტივი სალექარის მოწყობა. პროგრამით დასრულდება 2014 წლის გარდამავალი სამუშაოები.

2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები, სკვერებსა და პარკებში არსებული საჯდომების მიმდინარე შეკეთება-რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები.

2.3.1. სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცენტრალურ პარკში არსებული „დაზიანებული ამფითეატრის რეაბილიტაციის სამუშაოები.

2.3.2. მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზის რემონტი/რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის შენობის დაზიანებული ჭერის შეკეთების სამუშაოები, სამხედრო აღრიცხვის სამსახურის შენობის იატაკის რემონტისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, ქალაქ ქობულეთში მუზეუმის შენობის რემონტი/რეაბილიტაცია, აგრეთვე სოფელი ზედა სამების საფერშლო პუნქტის და სოფელ თიკერში ამბულატორიის შენობის სარემონტო (კეთილმოწყობის) სამუშაოები. პროგრამით დასრულდება 2014 წელში დაწყებული გარდამავალი სამუშაოებიც. გარდა ამისა ქვეპროგრამა დააფინანსებს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის N141 განკარგულების საფუძველზე სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობასა და სახლების გამაგრებით სამუშაოებს.

2.3.2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რკინა-ბეტონის და ლითონის კონსტრუქციების (ღობეების) და სკვერებსა და პარკებში საჯდომების მიმდინარე შეკეთება-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროსთვის სანაგვე ურნებისა და სკამების შექმნა-მონტაჟი. მუნიციპალიტეტისათვის სანაგვე კონტეინერების შექმნა.

2.4. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მიმდინარე და მომავალი წლის განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა.

2.5. ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია კეთილმოწყობა (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) (პროგრამული კოდი 03 05)

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის N506 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საფუძველზე, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის თითოეულ თემში სხვადასხვა მიმართულებების პირველი რიგის ინფრასტრუქტურული სახის ღონისძიებები: ბეტონის საფარის მოწყობა, გოფირებული კანალიზაციის მილებისა და სასმელი წყლის მილების შექმნა, გარე განათებების მოწყობა, სტადიონებზე ბუნებრივი საფარის მოწყობა, სოფლებში მოსაცდელების მოწყობა. შეიძინება მძიმე ტექნიკა, მოწესრიგდება სასოფლო ცენტრები და სხვა.

2.6. საცხოვრებელი ბინების სადღეინფექციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 06)

მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფექციური დაავადებების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით აუცილებელია ისეთი პრევენციული ღონისძიების გატარება როგორცაა სადერატიზაციო და სადღეინფექციო სამუშაოების ჩატარება.

2.7. აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი (პროგრამული კოდი 03 07)

მუნიციპალიტეტში არსებული შენობა-ნაგებობების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, ხაზობრივ ნაგებობების აზომვითი ნახაზების მომზადება და მისი შემდგომი მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირება ხელს შეუწყობს არსებული ქონების მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განკარგვას.

2.8. სხვადასხვა სანიტარულ-ჰიგიენური და ლაბორატორიული გამოკვლევების ხარჯი (პროგრამული კოდი 03 08)

ტურისტული სეზონის დადგომამდე და სეზონის განმავლობაში აუცილებელი ხდება ტურისტულ ობიექტებში გარემო ზემოქმედების ფაქტორებისა და მიკროკლიმატის მაჩვენებლების კვების ბლოკების მდგომარეობის მოქმედ სანიტარულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

2.9. სასაფლაოების გადატანა (პროგრამული კოდი 03 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ წყავროკას (სოფლის სასაფლაოს) ფერდსამაგრი კედლის მოწყობა, აგრეთვე დაბა ჩაქვში აჭარის ქუჩა N15 მდებარე დაახლოებით 30 ერთეულამდე არსებული სასაფლაოს შედარებით უსაფრთხო ადგილზე გადატანის სამუშაოები. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის N141 განკარგულების საფუძველზე.

2.10. "მცირე კავკასიის ალიანსების აჭარის პროგრამის "ქობულეთის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა (პროგრამული კოდი 03 12)

მუნიციპალიტეტში პირუტყვის დაავადების მონიტორინგისა და კატასტროფების, დავადებების რისკის შემცირებისა და გენდერული თანასწორობის დანერგვის მიმართულებით მუნიციპალიტეტი ვვალდებულია იღებს უზრუნველყოს ერთობლივი პროექტის თანადაფინანსება და ამ მიზნით გაიღებს სამუშაო ჯგუფის მუშაობის ხელშეწყობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებს. პროგრამა დასრულდება 2017 წლის მარტის თვეში.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00).

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების ფუნქციონირება.

3.1. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს სკოლამდელი განათლება წარმოადგენს რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია.

3.1.1. ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

მუნიციპალიტეტში იფუნქციონირებს საბავშვო ბაღები, სადაც სკოლამდელ აღზრდა-განათლებას მიიღებს 1900 ზე მეტი ბავშვი. მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ქვეპროგრამა მოიცავს ბაღების სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურების და კვებითი მომსახურების ხარჯების სრულ დაფინანსებას და ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა დანარჩენ ხარჯს.

3.1.2. საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 01 02)

ხორციელდება არსებული ბაღების რეაბილიტაცია და ბაღების განტვირთვის მიზნით ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა. პროგრამით

გათვალისწინებულია ქალაქ ქობულეთში ფიჭვნარში საბავშვო ბაღის მოწყობა, ქალაქ ქობულეთში ველურში საბავშვო ბაღის მოწყობა, სოფელ ქობულეთში საბავშვო ბაღის მოწყობა და ეზოს კეთილმოწყობა, სოფელ ზენითში საბავშვო ბაღის მოწყობა. გათვალისწინებულია აგრეთვე სოფელ კვირიკეში და სოფელ ალამბრის საბავშვო ბაღების ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული მოქმედი საბავშვო ბაღების (სულ 14 ერთეული) რეაბილიტაციის სამუშაოები. სოფელ კვირიკეს, ქვედა კვირიკესა და მუხაესტატეს საბავშვო ბაღებისათვის მოეწყობა ატრაქციონები. პროგრამით დასრულდება საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის ყველა 2014 წლის გარდამავალი პროექტებიც.

3.2 საჯარო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამით გათვალისწინებულია ქობულეთის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების ხელშეწყობის მიზნით მომსახურე სკოლის კუთვნილი ავტობუსის უზრუნველყოფა საწვავით.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული დონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შესძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2015 წლის განმავლობაში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- საფეხბურთო საკლუბო გუნდი „შუქურა“ მატერიალური მხარდაჭერის მიზნით.
- სარაგბო საკლუბო გუნდი „პონტო“ მატერიალური მხარდაჭერის მიზნით.
- სპორტთამაშების კლუბი „ქობულეთი“ მატერიალური მხარდაჭერის მიზნით.
- ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა.

4.1.1. ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები: თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ძალოსნობა, ველოსპორტი, რაგბი, ჭადრაკი, ფეხბურთი (გოგონათა და ჭაბუკთა). წრეებში დაკავებულია 300 ზე მეტი ბავშვი, ტარდება შიდა სასკოლო და ამხანაგური შეხვედრები. წლის განმავლობაში სკოლის კლუბებში მოსწავლეთა მომზადების დონის შემოწმების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და

საერთოველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებში წარმატებული სპორტსმენების გამოვლენის მიზნით სასპორტო სკოლა მონაწილეობას ღებულობს საოლეო და რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებებში.

4.1.2. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია და ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ უზრუნველყონ სპორტსმენების განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერ სპორტსმენთა წახალისება. გაგრძელდება სხვადასხვა სპორტული პროექტების მხარდაჭერაც.

4.1.3. სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 03)

პროგრამა ითვალისწინებს მხარდაჭერის ფარგლებში საფეხბურთო და სარაგბო კლუბების დაფინანსებას. კერძოდ საფეხბურთო საკლუბო გუნდი "შუქურას", სარაგბო კლუბი "პონტოს" და სპორტთამაშების კლუბი "ქობულეთის" მხარდაჭერის პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირების დაფინანსებას, სპორტულ თამაშებში მონაწილეობის ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებებით, აგრეთვე გუნდების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს.

4.1.4. სპორტული მოედნების მოწყობა (პროგრამული კოდი 05 01 04)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის არსებული სპორტული მოედნების (14 სპორტული მოედანი) რეაბილიტაციას, აგრეთვე ქალაქ ქობულეთში რუსთაველის ქუჩა 162ა-ს მიმდებარედ კომახიდის ქუჩაზე ახალი მიწის სტადიონის მოწყობას. დაგეგმილია ორი სპორტული მოედანის მოწყობა ქალაქ ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონის ტერიტორიაზე, რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფელ ხუცუბნის ცენტრში და თეთროსნის უბანში არსებულ სპორტულ მოედნებს, აგრეთვე პროგრამით დასრულდება ხუცუბნის სარაგბო სტადიონის რეაბილიტაციის 2014 წლის გარდამავალი პროექტიც.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1. ა(ა)იპ ქობულეთის სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01)

